აბრეშუმის გზა

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

ქვემოთ მოცემულია საკლასო აქტივობა მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის, რომელიც ეფუძნება რუკისა და ტექსტის გააზრებას. აქტივობის თემაა აბრეშუმის გზა. ისტორიის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, რომ აბრეშუმის გზამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებასა და აღმოსავლეთ - დასავლეთის სამყაროს დაახლოებაში. ეს მაგისტრალი წარმოადგენდა არა უბრალო სავაჭრო გზას, არამედ იდეებისა და ტექნოლოგიების გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას.

სავარჯიშოზე მუშაობისას, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ ინფორმაციას ამ გლობალური მოვლენის შესახებ, როგორც რუკის, ასევე ტექსტის მეშვეობით. ტექსტის ბოლოს მოცემულია შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა, საშუალებას მისცემს ჩვენ აღსაზრდელებს, გააანალიზონ ამ გლობალური ისტორიული მოვლენის არსი და მისი როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. შესაძლებელია ეს სავარჯიშო გეოგრაფიასთან ინტეგრირებულად ჩატარდეს.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია X და XI კლასის მოსწავლეებისთვის.

აბრეშუმის დიდი გზა წარმოადგენდა სავაჭრო მარშრუტების დატოტვილ ქსელს, რომელიც ოფიციალურად ჩინური დინასტიის - ხანის ეპოქიდან, ახ.წ. 130 წლიდან იღებს სათავეს. ამ დროიდან - 1453 წლამდე ის აკავშირებდა ერთმანეთს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს და უზრუნველყოფდა სავაჭრო გაცვლა-გამოცვლას. „აბრეშუმის გზის“ ნაცვლად, მეცნიერები ხშირად იყენებენ უფრო ზუსტ ტერმინს - „აბრეშუმის გზები“, რითაც ხაზს უსვამენ მარშრუტების სიმრავლეს და არა ერთადერთ მაგისტრალს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო გადაჭიმული.

ევროპელმა მოგზაურმა მარკო პოლომ (1254-1324 წ.წ.) ეს მარშრუტი თავიდან ბოლომდე გაიარა და აღწერა თავის ცნობილ ნაშრომში, თუმცა თავად ტერმინი მას არ გამოუყენებია. ეს ტერმინი - „აბრეშუმის გზა“ ან „აბრეშუმის გზები“ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიან გამოჩნდა, კერძოდ, 1877 წელს გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიხთჰოფენმა შემოიღო. საინტერესოა, რა საქონელი გადაჰქონდათ ამ ტრასით დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ესენია:

ცხენები, უნაგირები და აღკაზმულობა, ყურძენი და ქიშმიში, ჯიშიანი ძაღლები და სხვა შინაური თუ ეგზოტიკური ცხოველები, ბეწვი და ტყავი, ასევე თაფლი, ხილი, მინის ნაწარმი, შალის ქსოვილები, ხალიჩები, ფარდები და ფარდაგები, ოქრო და ვერცხლი, აქლემები, მონები, იარაღი, ჯავშანი და სხვა.

აღმოსავლეთიდან დასავლეთში შეჰქონდათ და ვაჭრობდნენ სხვადასხვა საქონლით: აბრეშუმი, ჩაი, საღებავები, ძვირფასი ქვები, ფაიფურის ნაწარმი, სანელებლები, ბრინჯაოს და ოქროს ნივთები, მედიკამენტები, საკმეველი, სპილოს ძვალი, ბრინჯი, ქაღალდი, დენთი და სხვა.

ეს სავაჭრო გზა 1453 წელს გაუქმდა, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ სავაჭრო ემბარგო დააწესა და გზები გადაკეტა. ამან გამოიწვია სხვა სავაჭრო გზების ძიება, რაც ახალი ეპოქის - დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების საფუძველი გახდა.

სპარსეთი სამეფო გზა. აბრეშუმის გზის ისტორია შეიძლება უფრო ადრიდან დავიწყოთ, როდესაც აქემენიანთა იმპერიაში (დაახლოებით ძვ.წ. 550 – 330 წწ.) შეიქმნა სპარსეთის სამეფო გზა - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მოგვიანებით აბრეშუმის გზების განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს გზა აკავშირებდა ერთ-ერთ სატახტო ქალაქს - სუსას, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთ სპარსეთში და მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. მის მთელ სიგრძეზე დაარსდა საფოსტო სადგურები, რომლებშიც ცვლიდნენ ცხენებს, რათა კურიერებს სწრაფად მიეწოდებინათ შეტყობინებები მთელ იმპერიაში. ჰეროდოტე ამ კურიერების მუშაობის აღწერისას აღნიშნავდა მათ სისწრაფესა და საიმედოობას. „ისტორიის მამა“ თავის „ისტორიაში“ წერს: „მსოფლიოში არაფერია სპარსელ კურიერებზე სწრაფი. ვერც თოვლი, ვერც წვიმა, ვერც სიცხე და ვერც ღამის სიბნელე ვერ შეაჩერებს მათ (კურიერებს). ისინი ყოველთვის უდიდესი სისწრაფით ასრულებენ საკუთარ მოვალეობას“. საუკუნეების შემდეგ, ეს სიტყვები შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურის დევიზად იქცა. სპარსეთის ხელისუფლება ზრუნავდა არა მარტო ამ გზის შენახვაზე, არამედ მის გაფართოებაზე. აღნიშნული გზები კვეთდა მესოპოტამიას, აღწევდა ინდოეთის სუბკონტინენტამდე და ეგვიპტემდეც კი.

ჩინეთი და დასავლეთი. 339 წელს ალექსანდრე მაკედონელმა, სპარსეთის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, დააარსა ქალაქი ალექსანდრია „ესხატა“ (უკიდურესი ალექსანდრია), რომელიც დღევანდელი ტაჯიკეთის ტერიტორიაზე, ფერგანის ველზე მდებარეობდა. ამ ახალ ქალაქში ძირითადად დაჭრილი და დაავადებული ჯარისკაცები დარჩნენ, ხოლო ალექსანდრემ ლაშქრობა

აღმოსავლეთისკენ განაგრძო. დარჩენილები მოგვიანებით ადგილობრივებთან დაახლოვდნენ და მათ ქალებაე დაქორწინდნენ. მომავალში ამ სიმბიოზმა ბერძნულ-ბაქტრიულ[1] კულტურას ჩაუყარა საფუძველი.

ბერძენ-ბაქტრიელი მეფე - ევთიდემე I-ის (დაახლ. ძვ.წ. 260-195 წწ.) მეფობის პერიოდში მისადმი დაქვემდებარებული სამეფოს საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ძველი ბერძენი სწავლულის, სტრაბონის თანახმად, ბერძნებმა „თავისი ძალაუფლება სერებამდე გააფართოვეს“. სახელწოდება „სერებს“ ძველი ბერძნები და რომაელები ჩინელების, აღმოსავლეთ აზიაში „აბრეშუმის ქვეყნის“ აღსანიშნავად იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩინეთსა და დასავლეთს შორის პირველი კონტაქტები შესაძლოა ძვ.წ. 200 წელს დამყარდა. ჩინეთის იმპერატორი ვუ ცდილობდა, დასავლეთიდან ვაჭრობის გზით მეტი საქონელი შემოსულიყო მის სახელმწიფოში და ამ მიზნით ძვ.წ. 130 წელს აბრეშუმის გზას ჩაუყარა საფუძველი. ამ დროისთვის ხანის დინასტია მომთაბარე სიონგნუს[2] (Xiongnu) ტომების მუდმივი ზეწოლის ქვეშ იყო, რომლებიც ხანის იმპერიის დასავლეთ და ჩრდილოეთ საზღვრებს ძარცვავდნენ.

ძვ.წ. 138 წელს ჩინეთის იმპერატორმა ვუმ თავისი ელჩი, ჟანგ ციანი დასავლეთში გაგზავნა, იეუჟისთან[3], რათა სიუნგნუს წინააღმდეგ ალიანსი შეექმნა. მოგზაურობის დროს, ჟანგ ციანი ცენტრალური აზიის მრავალ კულტურას გაეცნო. მათ შორის, ის შეხვდა ე.წ. „დაიანებს“ – „დიდ იონელებს“, რომლებიც ბერძენ-ბაქტრიელებს, ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცების შთამომავლებს წარმოადგენდნენ. ამ დაიანებს გამორჩეული ცხენები ჰყავდათ, რის შესახებაც ჟანგ ციანმა იმპერატორ ვუს მოახსენა. მან აღნიშნა, რომ ამ ცხოველების ეფექტურად გამოყენება შეიძლებოდა სიონგნუს წინააღმდეგ. ელჩის მისიის შედეგად არა მარტო დასავლეთის ქვეყნებთან დამყარდა კონტაქტი, არამედ კავალერიაში სამსახურისთვის შესაფერისი ცხენების მასშტაბური მოშენების პროგრამაც ამოქმედდა. ამ სიახლის წყალობით, ხანის დინასტიამ დაამარცხა სიონგნუ, რამაც გზა გაუხსნა ჩინელებს დასავლეთისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ აბრეშუმის გზის ფართო სავაჭრო ქსელის მეშვეობით მიმდინარეობდა მრავალფეროვანი საქონლით ვაჭრობა, სწორედ აბრეშუმმა მისცა ამ გზას სახელი. ეს სახელი დამკვიდრდა მას შემდეგ, როდესაც რომის იმპერიაში აბრეშუმის ნაწარმმა პოპულარობის ზენიტს მიაღწია. სავაჭრო გზები ჩინეთიდან ინდოეთსა და მცირე აზიისკენ იყო გადაჭიმული, ასევე კვეთდა მესოპოტამიას და აღწევდა ეგვიპტეს, აფრიკას, საბერძნეთს, რომს და თვით ბრიტანეთის კუნძულებსაც კი. ჩრდილოეთ შუამდინარეთი, რომელიც იმ ეპოქაში ირანისა და პართიის ნაწილს წარმოადგენდა, ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორი და კულტურული გაცვლის ცენტრი გახდა. აბრეშუმის გზაზე გავრცელებულ ჩინურ გამოგონებებს შორის განსაკუთრებული

[1] ისტორიული ოლქი ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და ავღანეთს შორის, ჰინდუკუშის მთიანეთის სამხრეთით. ძველ დროში ქვეყნის დედაქალაქი იყო ბაქტრია. მეცნიერები თვლიან, რომ თანამედროვე ტაჯიკები და პუშტუნები ძველი ბაქტირიელების პირდაპირი შთამომავლები არიან.

[2] სიონგნუ - არსებობდა ძვ.წ. III - საუკუნიდან - ახ.წ I-II საუკუნემდე. მდებარეობდა ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის სტეპებში (დღევანდელი მონღოლეთი, ჩრდ. ჩინეთი, სამხრეთ ციმბირი და ყაზახეთის ნაწილი). სიონგნუ იყო სტეპური, მომთაბარე, სამხედრო-პოლიტიკური იმპერია/ტომთა გაერთიანება.

[3] იეუჟი - მომთაბარე ტომების გაერთიანება, რომელიც ძვ.წ. II საუკუნეში სიონგნუმ დაამარცხა, რის გამოც ისინი დასავლეთით გადასახლდნენ და დაიკავეს ბაქტრიის ტერიტორია. იუჟის შთამომავლებმა შექმნეს ქუშანის იმპერია.

მნიშვნელობით გამოირჩეოდა ქაღალდი, რომელიც ხანის დინასტიის დროს გამოიგონეს და დენთი. მათი გავლენა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე თავად აბრეშუმის. აღმოსავლურმა სანელებლებმაც, ასევე უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კულტურულ ტრანსფორმაციაში, ვიდრე აბრეშუმით შთაგონებულმა მოდამ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ აბრეშუმის გზა წარმოადგენდა არა მარტო სავაჭრო გზას, არამედ იდეებისა და ტექნოლოგიების გაცვლა-გამოცვლის საშუალებასაც, რაც ხელს უწყობდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების ურთიერთგაცნობასა და დაახლოებას.

შეკითხვები:

1. რატომ იყენებენ მეცნიერები ტერმინს - „აბრეშუმის გზები“ და არა „აბრეშუმის გზას“? როგორ ადასტურებს რუკა ამ სამეცნიერო მოსაზრების მართებულობას?
2. რუკაზე დაყრდნობით, რა გეოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭებოდა სპარსეთის იმპერიის „სამეფო გზას“ აბრეშუმის გზის მარშრუტების ქსელში?
3. რუკაზე დაყრდნობით, დაასახელეთ სულ მცირე სამი ქალაქი, რომლებიც, თქვენი აზრით, იყო ყველაზე მნიშვნელოვანი აბრეშუმის გზაზე. ახსენით, რატომ იყო საერთაშორისო ვაჭრობისთვის მათი გეოგრაფიული მდებარეობა სტრატეგიული დატვირთვის მქონე?
4. რა სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა იმპერატორ ვუს, როდესაც ელჩი ჟანგ ციანი გაგზავნა დასავლეთში?
5. რატომ გახდა აბრეშუმი სიმბოლურად უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმი, ვიდრე ისეთი გამოგონებები, როგორიცაა ქაღალდი ან დენთი?
6. იმსჯელეთ, რა შედეგი მოყვა ქაღალდის, კომპასის და დენთის გავრცელებას ჩინეთიდან მსოფლიოში?
7. თუ შავი ჭირის მსგავსი ეპიდემიები სავაჭრო გზებით ვრცელდებოდა, შეიძლება თუ არა აბრეშუმის გზები შეფასდეს როგორც „კულტურული პროგრესის“ და ამავე დროს, „გლობალური რისკის“ არტერია?
8. რა ეკონომიკური და სოციალური შედეგები მოჰყვა ოსმალეთის იმპერიის მიერ სავაჭრო ემბარგოს დაწესებას? რამდენად გარდაუვალი იყო ალტერნატიული გზების ძიება?
9. როგორ შეუწყო ხელი ჟანგ ციანის ანგარიშმა ცხენების შესახებ ჩინური კავალერიის განვითარების პროგრამის ამოქმედებას?
10. იმსჯელეთ, რატომ არის უფრო ზუსტი აბრეშუმის გზა „კულტურულ დერეფნად“ მივიჩნიოთ, ვიდრე უბრალოდ „სავაჭრო მაგისტრალად“?
11. იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს აბრეშუმის გზამ თანამედროვე საქართველოსთვის?